კვირა, 30 აგვისტო ფასი 10 კაპ.

მათრახი
და სალამური

№ 12

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი



ეშმაკსა უთქვამს: „ამ ქვეყნათ
ვინ გასჭრას სამართალიო:
ენას რბილს, მუშტსა მაგარსა
ერთი ჰქონია ძალიო.
ვითა პირველი, მეორეც
ფრთხილია მოსაქნევიო,
და თუ ეურჩენ გონებას
ხიფათთა შემამთხვევიო.
მოდით, დახედეთ სასწორსა
საბუთათ ესეც კმარაო,
მუშტი და ენა ამ ორში
ვინ როგორ მოიხმარაო.

1876

ხეჩატუროვმა ივანემ,
(„ლისტოკზე“ ხედავთ თქვენაო)
თვინიერ ნებად ტვინისა
ალამოძრავა ენაო.
მაგრამ იგემა სანაცვლოთ
უზომო ტანჯვა-წყენაო:
შინაურ გარეულთაგან
მუჯლუგუნი და კბენაო.
გიორგი ამირეჯიბმა
მუშტი აღმართა თვისიო
და დატრიალდა სასაქმო
რეგვენთა საკადრისიო.
მანც ბევრი წყენა ივემა,
სხვაც ერთობ გაამწარაო,
სხვა „ბრძოლის ველზე“ დასტოვა
თითონ კი გაიპარაო.
ამგვარათ: მუშტი თავ-ძვალა
რბილს ენას უდრის სხვა რასო,
თუ გამოვრიცხავთ პატრონებს,
როგორც უბრალო ტარასო.“

—კი.

ეშმაკის ინტერვიუ:

„ივერიის“ რედაქციაში

კოწია თუმანიშვილი ჩვეულებრივი კუდის ლაქუცით შემომეგება. ვისაც ერთხელ უნახავს მისი ცბიერი თვალების თამაში, მოუსმენია მისი თაფლივით ტკბილი და მუდამ ორაზროვანი ლაპარაკი, ის რასაკვირველია არ იუცხოვებდა მის ასეთ შეხვედრას, მაგრამ ჩემზე ერთობ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. რა შედარებაა ამ იფნის სახრესავით მოქნილ რედაქტორსა და „ზაკავკაზიელ“ მოუხეშავ, თუმცა პირდაპირ და გაბედულ გიორგის შორის?

— მობძანდით, ბატონო ჩემო, მობძანდით!

— გმადლობთ თავაზიანობისათვის, ვუპასუხე მე და ფრთხილათ დავეშვი რედაქტორის მიერ მოწოდებულ რბილ სავარძელზე. გაგონილი მქონდა თქმულება:

„არ ენდო თაფლის ენასა
ღვარძლიან გულით ნადენსა,
იგი ყურს ელამუნება,
ცხვირში ძმარ-ნაღველს გადენსა.“

— გასაოცარია ღმერთმანი, როცა სამშობლო განსაცდელშია, ჩვენ ქართული გაზეთის ხელმძღვანელნი აგრე დაქსაქსულად ვმოქმედობთ.

— როგორ? განა თქვენ „დროების“ რედაქციასთან კავშირი არა გაქვთ? გავიკვირვე მე.

— მე, ხომ მოგეხსენებათ ზომიერების მოყვარული ვარ. ჩემი სათაყვანებელი საგანი ეს ქართველი ხალხი, ჩემი საბრალო სამშობლოა.

— მერმე რა საფრთხე მოელის სამშობლოს ასეთი და თუ მოელის რატომ სხვებსაც არ დაიხმარიებთ?

— როგორ? არ იცით რა საფრთხე მოელის! ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!

აქ „ივერიის“ რედაქტორმა თვალები ზეცას მიაპყრო, ხელები გულზე დაიკრიფა და ორი ობოლი ცრემლი ჩამოიგორა მოწითანო ულვაშის წვერებზე! უნებლიეთ გამახსენდა ერთი ტანჯული ცხოველი პ—ე ხიდისთაველის მოთხრობიდან!

— მაშ თქვენ არ იცით, რომ ჩემს საყვარელ საქართველოს განსაცდელი მოელის რუსის ხალხისაგან? განაგრძო მან.

— ვიცი, როგორ არ ვიცი, მაგრამ რუსის ხალხისაგან იმდენათ არა, რამდენათაც რუსის მთავრობისაგან.

— ნუ თუ თქვენც მაგ აზრისა ხართ, ბ-ნო ჩემო? ნუ თუ არ იცით, რომ მთავრობა რუს სოციალისტებს არაფერს არ უშლის და ქართველებს კი სტანჯავს, აწამებს. ამით მე ის მინდა ვსთქვა, რომ მთავრობა ერთნაირათ არ უცქერის რუსებსა და უცხო ტომებს, თორემ სოციალისტები, რა თქმა უნდა, ყველაფრის ღირსნი არიან. განა თქვენ არ იცოდით ყოველივე ეს?

— წარმოიდგინეთ პირველათ მესმის. პირ-იქით გაგონილი მქონდა რუსეთის ციხეებიც სავსეა ასეთი ხალხითო და აბა რა ვიცოდი თუ იქაც ქართველები ისხდენ.

— ვაიმე, ვაიმე!... განა თქვენ ასეთი გულუბრყვილო ხართ? ვაიმე, ვაიმე!.. ჩემს საყვარელ სამშობლოს განა მარტო რუსები იბრიყვებენ! აი თუნდა სომხებიც, თათრებიც... ყველა მეზობელი ხალხი, ყველა ჩვენზე, ჩვენს ზურგზე თამაშობს.

— არ მესმის სწორეთ!..

— როგორ თუ არ გესმისთ? ხი, ხი, ხიიიი!.. ვითომ მართლაც არ გესმისთ, ხი, ხი, ხიიიი!!

ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ჩემს დღეში არ მინახავს ასეთი უგემური სიცილი. ისე ისმოდა, თითქო ვიღაც იატაკს ქვეშეთგან ხითხითებს და ჩემს გულუბრყვილობას დასცინისო.

— გარწმუნებთ არ მესმის. შეიძლება მდიდრები მართლაც გლეჯდენ ერთმანეთს, მაგრამ ღარიბი ხალხი თანხმობით ცხოვრობს, როგორც რუსებთან, ისე სომხებთანაც.

— თანხმობით ცხოვრობს!! ხი. ხი, ხიიი!! კარგი თანხმობაა თქვენმა მზემ! განა ვერ დაინახეთ ჟულელის დასაფლავებაზე? ყველას ინტერესებს ვიცავთო გაიძახით, და აქ კი მარტო ქართველი ხალხი გლოვობს და პატივს სცემს მის ხსოვნას.

—გმადლობთ, რომ მომაგონეთ; მე სწორეთ ის მინდოდა გამეგო: ვის კალამს ეკუთნის ეგ მშვენიერი სტატია?

— მოგეწონათ?

— რა ბრძანებაა, ვის არ მოეწონებოდა ასეთი სიმშვენიერე.

— თუ ეგრეა მე დავსწერე..საზოგადოთ მთელ ნომერს მე ვამსებ.

— დაწერილი კარგია; მაგრამ...

— მაგრამ რა?

— ისა რომ ამას პატიოსანი კაცი არ იკადრებდა, ჯერ იმიტომ, რომ მტკნარი სიცრუე იყო და მეორეთ მიცვალებულის შესახებ...

— გეხუმრეთ ყმაწვილო! მართლა იმდენათ სულელი არ გეგონოთ, რომ სად რა სჯობია არ ვიცოდე. იმ წერილის დაწერაში მე არავითარი წილი არ მიძევს. განა მე არ ვიცი, რომ მიცვალებულზე... და განა მე კი სულ მუდამ ვიცოცხლებ?!

— მაშ თქვენ არ დაგიწერიათ?

— რა ბრძანებაა! ხი, ხი, ხიიიი!!? თქვენ მართლა დაიჯერეთ! განა პართენი ტყვილათ მყავს? ყველაფერს მე როგორ გავწვდები. არა ძმობილო, მე კარგათ მესმის სად და როდის რა აჯობებს!..

— სიამოვნებით გერწმუნებით, რადგან ამის მაგალითი არა ერთი და ორი გვინახავს თქვენი ცხოვრებიდან. თუნდა ის რათ ღირს, რომ ქართულ „ივერიაში“ რუსეთს „ტყავს აძრობთ“ და რუსულ „ტიფლისში“ კი გოროდოვოებს ჩექმებს ულოკავთ. მეც მესმის რომ თქვენ დიდი პრაქტიკული ნიჭის მექონე უნდა იყოთ.

— ცხოვრება ასეთია ბატონო ჩემო.

„თუ კაცმა ხრიკი არა იცის,
გასტანჯავს წუთისოფელი“.

— ერთი ეს მიბრძანეთ „ზაკავკაზიეს“ რედაქციას რაზე შესწყერით თქვენა და პართენი?

— როგორ თუ რაზე? ერთხელ, წარმოიდგინეთ, ულვაში კინაღამ ამაგლიჯა და დამემუქრა: თუ კიდევ ასე ილაქუცებ ვარესს მოელოდეო.

— გაზეთში რაღას აცხადებდით?

— დაე იცოდეს ქვეყანამ, რომ ჩვენ აღარ ვეხმარებით ბანკისბაღელ მკლავაძეს.

— სპილოისა და ბუზის არ იყოს, ვის რაში ეკითხება თქვენი იქ ყოფნა თუ არ ყოფნა?

— რასა ბრძანებთ... ხი, ხი, ხიიიი!...

ერთხელ კიდევ გესლიანათ ჩაიცინა ვილაცამ თუმანიშვილის არსებაში და იქაურობა მოსწამლა, მე ქუდს ხელი დავავლე და არ მოვუცადე საუბრის გათავებას კარებისკენ გამოვემართე.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბატონო მშვიდობით; სასიამოვნოა როდესაც ასეთი განსაცდელის დროს ერმანეთის აზრებს გავიგებთ და საერთო ძალით.....

მე უკვე ნიკოლოზ ცხვედაძისაკენ მივეჩქარებოდი.

ნიკოლოზ ცხვედაძესთან.

თამამათ შეიძლება ითქვას, რომ გასული კვირე, ეს „სტიპენდია-პოსობიების“ კვირე იყო. მეც ორას ორმოცდა ჩვიდმეტი ღარიბის დავალებით შევიარე ბატონ ცხვედაძესთან. როგორც მიღებულია პროტექტორებისაგან, მეც ყველას დავპირდი: თქვენ საქმეს კარგათ და სასურველათ დავაბოლავებ მეთქი. ნიკო ცხვედაძე სარაჯიშვილის თანხას თავმჯდომარეობს და ეს მეორე პირია მთელს საქართველოში, რომელსაც ჩინებულათ ესმის თავისი მდებარეობის მნიშვნელობა.

— საღამო მშვიდობისა, ბატონო!

— გმადლობთ, მობრძანდით! ზრდილობიანათ მიმიპატიჟა მათმა ბრწყინვალებამ. ალბათ სათხოვარი გაქვთ რამე?

— დიახ, ბატონო; გავიგე სტიპენდიებს უნიშნავთ ღარიბ-ახალგაზრდებს.

— თქვენ ქართველი ხართ?

— როგორც მხედავთ...

— მე ვერც გხედავთ და ვერც გატყობთ. თქვენ ჯერ ერთი ქართულათ არ გაცვიათ და წმინდა ქართულსაც ვერ ლაპარაკობთ.

— განა თქვენ ასეთ ყურადღებას აქცევთ პროვინციალურ კილოს?

— არა, ჩვენ სახეში ვიღებთ საზოგადოთ ქართველს. გურული, იმერელი, მეგრელი კახელ-ქართლელი ჩვენთვის არ არსებობს.

— მაშ რა არსებობს თქვენთვის?

— ჩვენთვის არსებობს ქართველი.

— მაშ რაღა დაბრკოლებაა, ჩვენც ხომ ქართველები გახლავართ.

— ჩვენთვის არც პარტიები არსებობენ. ჩვენ უპარტიონი ვართ; ჩვენთვის სულ ერთია დემოკრატი, ფედერალისტი, ბურჟუაზია და პროლეტარიატი.

— მაშ ვის აძლევთ თქვენ სტიპენდიებს?.

— ჩვენ სულაც არ ვარჩევთ იმერელ-ამერელს,

არც თუ ამა და იმ პარტიას. ჩვენ მხოლოდ ქართველს ვაძლევთ დახმარებას.

— ჩვენც ხომ ქართველები ვართ...

— ჩვენ არ მოგვწონს ახალგაზრდა ყმაწვილები, რომლებიც ქართულ ენას უკადრისობენ და რუსულად ლაპარაკობენ.

— ჩვენ ძლიერ გვიყვარს ქართული. პირ-იქით, სხვა ენაზე ლაპარაკიც არ გვეხერხება.

— კარგი და პატიოსანი, მაგრამ მამულის უკადრისობა ვერაფერი სანაქებო ხელობაა.

— განა ჩვენ ჩვენს მამულს ვუკადრისობთ? ეს ხომ ცილის წამებაა!!

— არა ყმაწვილო, მე განა თქვენზე ვთქვი? სრულიადაც არა, ჩვენთვის სულ ერთია ქართლელი თუ იმერელი, ჩვენთვის მხოლოდ ერთი, საერთო ქართველი არსებობს.

— მესმის თქვენო ბრწყინვილებავ, მაგრამ განა ჩვენ ქართველები არა ვართ? გურია ხომ საქართველოს ნაწილია?

— ნაწილი ნაწილია, მაგრამ ჩვენ საერთოდ ქართველი გვყავს სახეში და გურულ-იმერელ-კახელს ერთმანეთისაგან არ ვარჩევთ.

ყოველივე იმედი დამეკარგა ჩვენ ერთმანეთისთვის რაიმე შეგვესმინა და ვცადე სალაპარაკო საგნის წარსულში გადატანა.

— ამ წლის სტიპენდიები ვის მიეცით ბატონო ნიკოლოზ!

— წელსა?

— დიახ.

— წელს... აღარც კი მახსოვს. ჩვენ ყველა ღირსეულს ვარჩევთ და მის შთამომავლობას არავითარ ყურადღებას არ ვაქცევთ. ჩვენთვის სულ ერთია მთხოვნელი ქართლელი იქნება, იმერელი თუ გურულ-მეგრელი, ოღონდ ის საერთოთ ქართველი იყოს.

— ხომ არავისი გვარი მოგაგონდებათ, ვინაც წელს სტიპენდია მიიღო?

— ჩვენ არც გვარს და გვარიშვილობას ვაქცევთ ყურადღებას. ჩვენთვის სულ ერთია იმერული გვარი ექნება თუ ქართული.

— მე მხოლოდ ვინაობის გაგება მინდოდა.

— ვინაობა რა საჭიროა! ვინაობა ქართველობაა!

— ალბათ გაზეთში გამოაცხადებთ ვინ მიიღო?

— რასაკვირველია.

— ისე არ მოგივიდეთ, შარშან წინ რომ ერთ მეგრელ ექიმს ექიმბაშობის დროსაც უგზავნიდით სტიპენდიას კიევში და კიევიდან აბაშაში მისდიოდა.

— აკი მოგახსენეთ ჩვენ მეგრელსა და გურულობას სრულიადაც არ ვაქცევთ ყურადღებას. ჩვენთვის საჭირო მხოლოდ მარტო ქართველია.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

— მშვიდობით, მშვიდობით; გაზეთში უთუოდ გამოვაცხადებთ და ყველაფერს გაიგებთ.

— გმადლობთ უმორჩილესად.

მე თავბრუ დახვეული დავეშვი კიბეზე და თუნდაც ორასივე ჩემი კლიენტისათვის გამდიდრება აღეთქვა, უკან აღარავბრუნდებოდი.

იმის წაკითხვა კი მეინტერესებოდა თუ ვინ გამოდგა ეს „საერთოდ ქართველი“ ღირსი სარაჯიშვილის სტიპენდიისა.

ეშმაკი.

პეტრია გულსვავაძე.

IV.

დღე-დღეს მისდევს, კვირა-კვირას,
და ხალხს ძალა ემატება.
ამ სურათის შემხედვარეს
პეტრიასა გული სწყდება...

—

— „ღმერთო, ამას რას შემასწარ!
სოფრომაის გოგიტელა,
„მეთაურად“ ჰყოლია ხალხს,
მას მორჩილობს, თურმე, ყველა.

—

ამას იქით სადღა წავა
სირცხვილი და დამცირება?
გუშინ, თურმე, „ცხემლნარაში“
ჩემზე ბჭობდა მთელი კრება.

—

გოგიტელა გასძახოდა:
„ბოლიკოტი“ დავარტყათო
და პეტრიეს კარმიდამო
ქვა-ქვაზედა დავაფქვათო!..

—

სოფრომაის ხელთნაწერი
ხელში რომ მაქვს მე ვექსილი,
სჩანს, ამიტომ შურსა ძიობს
ჩემზე მისი ვაჟბატონი.

—

ეროვნული

სჯობს, „ნაჩანიქს“ მივაშურო,
შევსთხოვო, რომ დამიფაროს...
ულმერთობა არ იქნება,
ჩემი სისხლი დაიღვაროს?!

—

ნუ თუ სრულად დამეკარგვის
ამ ძენი ხნის ნამსახური,
ისე, რომ გოგიტელაზე
ვერ ვიძიო მაინც შური?!.

—

სთქვა და შეჯდა თავის ცხენზე,
ღამით, ჩუმათ გაიპარა...
და მეორე დღეს უფროსმაც
გოგიტელა დაიბარა...

V.

ვინ იყო, როს ასრულებდა
ჩვენში იმ დროს უფროსთ ნებას?
მაშინ ძალა-სამართალი
ხელში ეპყრა ხალხის კრებას!

—

გოგიტელაც არ წასულა ..
საქმე კარგათ რომ ინახა,
პეტრეს ჩუმი ნამოქმედი
ხალხმა ნათლად დაინახა.

—

სთქვეს: „ყორანს ვერ გაათეთრებ,
რაგინდ ძალზე ქვიშით ხეხო,
სჯობს, სამარცხო მისი ფეხი
ეშმაკს დროზე რომ მოსტეხო.

—

პეტრიასაც განვუცხადოთ
ჩვენი მასზე უნდობლობა
და შევსწყვიტოთ თანაც მასთან
ყოველგვარი მეზობლობა!“...

—

იქნებ გასჭრას ამ ზომამა
გაიფიქრა გულში ხალხმა,
და პეტრეზე შეადგინა
განაჩენი თვისი ერთხმა.

VI.

ხალხის სიტყვა, სიტყვა, მტკიცე,
ვის არ მოსდრეკს შიშით წელში!
„ხმა ღვთისა და ხმა ერისო“,
თქმულებათაც არის ჩვენში.

—

პეტრეც წელში მოიხარა,
ჩამოუშო დაბლა ყური.
ხედავს ის, რომ დაიკარგა
„ესდენ მისი ნამსახური“.

—

„ზევიდგან“ ხსნა აღარ მოდის,
არ ვინ აქცევს ყურადღებას,
დაიჩოქა და შესთხოვა
ისევ მეზობლების კერას:

—

„ამხსენით ეს „ბოლიკოტი“:
ცოლშვილს ნუ ამომიწყვეტთო,
და სხვას ყველას ავასრულებ,
რასაც კი გადამიწყვეტთო!“...

—

ხალხმაც ახსნა ის სასჯელი,
გზის კეთება განუწესა.
და ამ დღიდან ვხედავთ პეტრეს,
გზას რომ ჰკენჭავს ყოველ დღესა...

VII.

ტყვიის ფერი ღრუბელთ ძაძა
გადმოაწვა მშობელ მხარეს,
ცეცხლის ალი შემოენთო
სისხლით მორწყულ არემარეს.

—

სიმართლე და ძმობის დროშა
ურცხვად ფეხქვეშ გაითელა,
და პარტახზე, ბრძოლისაზე
ლხინს მიეცა ტურა-მელა...

—

ზამთარს ფერი გაუხუნდა
და გაუცვდა ლილახანა,
თუმც შეინძრა გაზაფხული,
ზანტათ თავი შეიფხანა,

—

მაგრამ ისევ მარტს დაუთმო
მარტმაც აჰყვა თავის „წესებს“
და რაც ოდნავ გაინძრევა,
სასიკვდილოთ დააკვნესებს...

—

ათას ცხრაას ექვსი წელი
ჩვენში ასე შემოვიდა,
გაზაფხულის დასაწყისი
იმედს არვის აღუძვრიდა.

—

ნაცრის ფერი გადაედო
გარეშემო მინდორ-ჭალებს,
ქარნი რისხვით გაჰკივიან,
ცა ცრემლებით ივსებს თვალებს;

—

ხან ციდან მზეც გადმოიჭვრეტს
გადმოხედავს ნაცრემლ მხარეს,
მაგრამ მყისვე თვალს არიდებს
სევდის აღმძვრელ ამ სამარეს!..

—

— „ბარემ მოდი, გაზაფხულო!
ბარემ მოდი, მერცხალთა კრებავ!
საქორწილოთ ფრთა გაშალეთ,
სიცოცხლევ და სიტკბოებავ!!.

—

. . . .

ქვეყნის პირსა გადაჰბანეთ,
და ღრუბელთა ბნელი ძალა
ზურგის ქარსა გაატანეთ"...

—

ამას ნატრობს არე-მარე,
გულსაკლავად ანაკვნესი,
მაგრამ იმედს ჯერ არ ხედვენ,
რომ დღე დადგეს უკეთესი...

(დასასრული იქნება)

ნ. ზომლეთელი.

პატარა კაცუნა.

(რუსულით. ჩეხოვის კილოზე.)

სახაზინო პალატის ჩინოვნიკი ივანე იაბედა, რომელმაც ეხლა მიიღო პირველი ჩინი და სამსახურში გაამწესეს მოვიდა ქ. ენსკში. ღამის გასათევათ ჩამოხტა საუკეთესო სასტუმრო „სააზნაუროში," რომ ღამე მოსვენებულათ გაეტარებია და და დილას, დაწყნარებული ნერვებით წარსდგომოდა მისს მთავრობას. მაგრამ მისდა საუბედუროთ მეზობელ ოთახში ისეთი მდგური აღმოჩნდა, რომ ელსაც მთელი ღამე ახველებდა, შფოთავდა. ამან იაბედას ისე გაუკრთო ძილი, რომ ღამე საშინელ ტანჯვაში გაატარა. ხველა მართლაც ისეთი საშინელი და დაუსრულებელი იყო, რომ ივანე იაბედამ მოუსვენრობით და უსარგებლოთ დახარჯული ცულის სიბრალულით დილას სიმწრის ნაღველა გადმოანთხია და გაყვითლებული, თვალებ დასივებული, გამოჩნდა თუ არა სასტუმროს მსახური, ვეფხვივით ეცა.

— შენ, რა მიქენი ეს?!. რა?!.—ყვიროდა იაბედა...—ვის გაუბედე შე ძაღლო... შე ძაღლის მოდგმავ!.. მე შენ მოგთხოვე ისეთი ოთახი, რომ დაწყნარებული მომესვენა და ეს რა მიქენი?!. ჩემს მეზობლათ მოგითავსებია ვიღაც ოხერი, ჭლექიანი, ვირი, მუჟიკი, რომელიც მთელი ღამე მომაკვდავივით ხრიალებდა. უზრდელო, ეს ტუტუცი... წყეულო!.. მე სასტუმროში ჩამოვხტი და არა საავათმყოფოში!.. მე ვჩივლებ!.. მე სამშობლოს ვემსახურები!.. მე წავალ გუბერნატორთან!.. თქვენ არა გაქვთ უფლება, რომ რიგიან სასტუმროში უბრალო ხალხი შეუშვათ!.. მე ამას ასე არ დავტოვებ!.. მე... მე...

მოსამსახურე დიდხანს განცვიფრებით უყურებდა და ბოლოს ყრუთ უპასუხა:

— თქვენო კეთილშობილებავ, თქვენც ხომ ინებებთ მდუგურების შეწუხებას თქვენის ყვირილით!.. რაც შეეხება თქვენს მეზობელს, ის თქვენზე წინ მოვიდა, მოგვთხოვა საუკეთესო ნომერი და ჩვენც მივეცით...

— საუკეთესო ნომერი!.. მსჯელობს პირუტყვი... подлецъ... საუკეთესო კი არა—აქედან უნდა გაგვედოთ... უნდა გაგვედოთ ქუჩაში... გესმის, ქუჩაში!.. არ უნდა მიგეცათ ბინა ამ პირუტყვისათვის იმ სასტუმროში, სადაც კეთილშობილნი განისვენებენ ხოლმე. მე თავის ტეხით და სიჩქარით მოვსულვარ აქ, რომ ღამე მოსვენებით გამეტარებია და დღეს ნერვებ დაწყნარებული ჩემს უფროსებს წარსდგომოდი... მე, ადვილი შესაძლებელია, მათი მაღალ აღმატებულება, ახალი გამგე სახაზინო პალატისა მიცქის, მელის... მე ძილი მინდა, მოსვენება და... აქაო და ლაქიამ ინება ჩემს გვერდით მოეთავსებია ვიღაცა ვირი, კრეტინი, უზრდელი, ამიტომ ინებე მთელი ღამე ტანჯვა, უძილობა...

— თქვენო კეთილშობილებავ, ლაქია აქ არაფერ შუაშია... ხაზეინმა მიბძანა და...

— მამაძაღლი და ტუტუცია შენი ხაზეინი! Подлецъ мерзавецъ... მას უნდა აუკრძალონ სასტუმროს გამგეობა თუ ისეთ ძაღლებს აძლევს ბინას, როგორც ეს ჩემი მეზობელია... ოხერი, უზრდელი, პლუტი...

— ხაზეინიც არაფერ შუაშია თქვენოკეთილშობილებავ... დამნაშავე თვით გენერალია...

— რო... რო... მე... ლ... ლი... გე... ნე... რა...ლი?..

ლაქიამ მეზობელ ოთახზე მიუთითა.

— მაშ ეს მათი აღმატებულებაა?—იაბედას ენა ჩაუვარდა. გაახსენდა მისი ნათქვამი, ცივმა ოფლმა დაასხა, ფეხები აუკანკალდა და სავარძელში ჩაჯდა.

— დიახ, თქვენო კეთილშობილებავ! მობძანდა თუ არა მათი აღმატებულება, მოითხოვა საუკეთესო ნომერი და ბძანა, რომ სიწყნარე იყოს, არავინ შემაწუხოსო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ ეს მათი აღმატებულებაა?..—ამოიკვნესა საბრალო ხმით იაბედამ, სახე დაუპატარავდა, თვალები დაუწვრილდა და თითონაც მუქის ოდენა გადაიქცა,—ხე, ხე, ხე, ხე... მაშ, მათი აღმატებულებაა?.. სწორეთ მეც ასე ვფიქრობდი, ჩემო ძმაო.. ვწუვარ და ვამბობ ჩემთვის: არ შეიძლება, რომ ეს გენერალი არ იყოს... მოდი გამოვიცდი ლაქიას და გავიგებ მათი აღმატებულების ვინაობას მეთქი. შენ ჩემო ძმაო, მართალი გეგონა რასაც ვამბობდი?.. ხე, ხე, ხე, ხე,.. როგორ იფიქრე ეს ძმობილო... იქნება კიდევაც მიმიხვდი რომ ვხუმრობდი... ღმერთმან ადღეგრძელოს მათი აღმატებულება უფალი ღენერალი!.. მე მის მოწყალე ხელის ქვეშ მშვენივრათ ვგრძნობდი თავს... ვფიქრობდი, ჩემი მოწყალე ღვთის კალთას ქვეშ ვიმყოფებითქო და მოსვენებით მეძინა... და შენ ფიქრობდი, რომ... მაგრამ აი რა გითხრა ჩემო კეთილო: მე მაქვს ხველის კაპლი... დიახ.. და ეს მიართვი მათ აღმატებულებას და მოახსენე, რომ ივანე იაბედა მუხლმოდრეკილი სალამს გადრეკსთქო და ხველის წამალი მოგართვათქო... ათი წვეთი ნახევარ ჭიქა წყალში... გესმის!... არ დაგვიწყდეს ჩინოვნიკი ივანე იაბედა და ათი წვეთი... ოხ, ღმერთო ჩემო!.. მაშ, ეს მათი აღმატებულებაა?.. ხე, ხე, ხე, ხე... უცბათ იაბედას რაღაცა გაახსენდა და წარბები შეიკრა.

— მე მახსოვს, რომ შენ რაღაც უკადრისათ მოიხსენიე მათი აღმატებულება... როგორ გაბედე ჩემთან!..

განცვიფრებული ლაქია დადხანს ატრიალებდა კაპლის შუშას ხელში, ბოლოს უპასუხა:

— თქვენო კეთილშობილებავ! თუ კარგათ დაუკვირდებით, ჩემის აზრით ეს კაცი ჯერ გენერალი არ უნდა იყოს, რადგან თუ ტანისამოსს მივაქცევთ ყურადღებას, ჩვეულებრივათ აცვია... ჩვენი ხაზეინი, უკაცრავათ პასუხია, ვისაც მოწვიოლო პირიხახესა და დიდ მუცელს დაუნახავს, ყველას გენერალს ეძახის და ამიტომ... ასე, რომ ნამდვილი არ ვიცი..

— ჰმ!.. ჰმ!.. მაშ, შენ ამბობ, რომ ნამდვილი არ იცი!..—თავისუფლათ ამოისუნთქა იაბედამ,— ჰმ!.. თუ გენერალი არ არის, მაშ... მოიტა აქ კაპლი, მოიტა შე ძაღლო!.. ჩემთვის სულ ერთია, ვინც უნდა იყოს... მე არავისი არ მეშინია... გაიგე? არავისი... მაშ შენს ხაზეინს გადაეცი, რომ მე ჩინოვნიკი ვარ და არავის არ მივცემ ნებას, რომ შემაწუხოს... თუ ნება მივეცი, ყოველმა ტუტუცმა უნდა დამიფრთხოს ძილი უზრდელის ხველით...

— მოგახსენებთ ბატონო, ჩემო, რომ სახეზე არავის აწერია თავისი წოდება და ისე, როგორც მდგურები, აგრეთვე გარეშენიც ამბობენ, ეს ვიცე-გუბერნატორი უნდა იყოს, რომელსაც აქ მოელოდენ, მაგრამ მე...

— ᲛᲘᲡᲣᲗ!..

იაბედამ საჭქაროთ პირი დაუცო ლაქიას.

— ჩქარა, ჩქარა გამიწმინდე ვიც-მუნდირი... ჩქარა ძმობილო... მე თვითონ მივართმევ ხველის კაპლს... ოხ, ღმერთო ჩემო!.. რა მოუსვენრათ გაატარა ღამე მისმა აღმატებულებამ... ჩქარა... ოხ, ღმერთო ჩემო!..

— მაგრამ მე ვფიქრობ თქვენო კეთილშობილებავ, რომ ეს კაცი პოდრიაჩიკი ფირსოვი უნდა იყოს.. პირადათ არ ვიცნობ, მაგრამ ღიპი, გამობერილი მუცელი და ჩასივებულ-გაწითლებული სახე პოდრიაჩიკს უგავს და ამასთანავე ფირსოვს ელოდენ გუშინ აქ და ამიტომ...

— ᲰᲛ.. თუ პოდრიაჩიკია—არ მესმის... დამეკარგე აქედან შე პირუტყო!.. ბინას აძლევენ ქაჯებს, ეშმაკებს და კიდევ იცინიან.. კბარა!.. მე ნებას არ გაძლევთ... აწი არ მივხედავ წოდებას... გაიგეთ აქედან ვინც უნდა იყოს... გაიგეთ მამძაღლი...

ლაქიას დაუძახეს და საჭქაროთ გავიდა. ხუთი წუთის შემდეგ ისევ დაბრუნდა და მოახსენა იაბედას:

— თქვენო კეთილშობილებავ! ეხლა კი შემიძლია დანამდვილებით მოგახსენოთ, რომ თქვენი მეზობელი არც გენერალია, არც ვიცე-გუბერნატორი და არც პოდრიაჩიკი ფირსოვი; ის გახლავსთ სახაზინო პალატის ახალი გამგე.

ივანე იაბედამ შეხედა ლაქიას, პირი ღია დარჩა, სახე გაუფითრდა და იქვე იატაკზე წაიქცა. მას დავლა დაეცა.

ლეონადო.

სიტყვათა ახსნა.

(ბაკურიანის მოგზარეკეთათვის)

მატარებელი: მოგზარეკეების საბედისწერო მანქანა. —ბეწვის ხიდი.

გაზეთი: მოგზარეკეთა სანატელი ხილი, რომელსაც ბედნიერი ელირსება.

სიბანძურე: ბაკურიანის სიმდიდრე.

ფუნა: მოგზარეკეთა ფეხსაცმლის საწმენდი ნივთიერება, შავფეროვან—ავსურნელოვანი.

ეკრანი: სამ კაპეიკიანი ბეგარა.

სამაგისველი: მოგზარეკეთა ოცნება, ილიუზია.

თაგვ: მოგზარეკეთა ბულვარი.

„ვალოდი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მფრინავები!“

ქვეყანა ცაში აფრინდა,
ჩიტების ფრთები აისხეს,
მთით მთაზე, ზღვიდან ხმელეთზე
კოხტა ნავარდი დაიწყეს.
ამერიკელი ფრანგს ებრძვის,
ფრანგი ნემეცთან ჯიბრობსა,
ინგლისი ცალკე ოსტატობს,
რუსეთი თავ-პირს იმტვრევსა.

არც ბერძენ იტალიელნი,
ზოგა-ენ ძალს და ღონესა,
და ი ქართლოსელებმაც
რა ხერხი მოიგონესა.
(ჯერ არ სმენია ქვეყანას
ასეთი „ჰაერ—ხომალდი“
იაფი, სარგებლიანი,
ჩკვიდრი, გამძლე და ფეხმარდი!)
იშოვეს რუმბი უზომო,
ნაქუცი ტყავი ხარისა,
სიგრძე ორ-საჟენოვანი
განი ადლ-ნახევარისა.
ადავსეს ღვინით, წითელით,
ბოძებზე შესდგეს კარგათა,
ქვეშ ფიცრის ხიდი მოაბეს,
ზედ თითონ დასხდენ ბარგათა.
დაიწყვეს მამიჯვარისა
ლავაში პური ბლომათა,
მწვანილი, კიტრი, მოთალი
თავ-საყარ გასაძღომათა.
წელში გაირჭვეს ყანწები
მოჭედილ ჯიხვის რქებისა,
და შედგა რაზმი „მფრინავი“
დიახაც ლირსი ქებისა.
მოუხსნეს მილი! გუდასა
„სიმძიმე“ დაედინება,
ყანწსა ამსგებენ, ხუხავენ,
სულყველას მოელხინება.
მოჰქუხს ნუნუა წითელი,
ვით ნაკადული ანკარა,
ეხვდება ყანწი, გადადის,
თავს არ ზოგავენ აღარა.
ჯერ ადდეგრძელეს ბლერიო,
როგორც საკუთარ ფრთოვანი,
შემდგომ რაიტი, შემდგომად
კი ცეპელინი მხეოვანი...
მამულიშვილურ ჰანგების
გაისმის ჭექა-გრიალი...
და აი ნელ-ნელ გუდამა
აკი დაიწყო ტრიალი?!..
ხეც დაბზრიალდა, მიდამოც
ბოძიც, მასზედან რუმბიცა,
შეინძრა მთელი ქალაქი,
აგვითამაშდენ მთებიცა.
თავბრუ დაესხა „მფრინავებს“
დაეცენ უგრძნობელათა,
ხედავენ: მათი „ხომალდი“
მიჰქროლავს მინდორ-ველათა.
ზღვას გადაუვლის, ღრუბლებში
მიძვრება როგორც მახათა,
ხან ეშვება მთვარემდე,
აღარ სჩანს დასანახათა,
ხან დაბლა დადის, ქალაქებს
თავს დასტრიალებს ნაზათა
მთელი სამყარო მათ ფეხქვეშ
აგია ფიანდაზათა.
თავს ევლებიან მამულის
ბუმბერაზ მთათა წვერებსა,
თოვლ-ყინულების ვარაყით
ალმასებრ დანაფერებსა.
აი მთაწმინდის ფერდობსაც
ჩამოუქროლეს ლაღათა,
უნდათ დაეშვან ჩიტივით
ედემში, ვერის ბაღათა.
ცნობის მოყვარე მნახველებს
ვერ იტევს ქუჩა ველარა,
ვინ გინდა: ქალი თუ კაცი,

ბავშვი თუ წვერებ ჰაღარა.
გაუნავარდეს მოხდენით
ვერაზე ზუბრთა სკოლასა,
ხალხი შეჰყურებს სიამით
მათ გალაღებულ ქროლასა.
დაუშვენ ედიმისაკენ,
მაგრამ შემომხვენ ხათასა:
მოხვდა იმათი „ხომალდი“
ცნობილი ვერხვის კატარსა,
და გადაბრუნდა. დაუშვა
ძირს, როგორც ტყვიის ნაპერი
აღარა შერჩა“ მფრინავებს
არც ვაჟკაცობა, არც ფერი.

თვალი გააღეს, ოჰ ღმერთო,
რასა გავს ყოფა ამათი:
საბნათ თავს რუმბი ახურავთ,
ლებათ კი ფიცრის „კალათი.“
მოდუნებული ფეხები,
თავი უვარგი თავითა,
წელი მოშლილი, სამსგავსო
წელკავის განაკრავათა.
ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულნი
ტკბილ ოცნებებით ტკბებიან,
მაგრამ იკითხეთ ამბავი
ოდესაც დაფიზზლდებიან.

—კი.

ორი ეშმაკი.

(სტიპენდიის მაძიებელნი).

მეორე. რა ქენი ბიპო, ნუ თუ კიდევ ვერაფერს გახდი?

პირველი. ჯერ ვერაფერს, მაგრამ იმედი კი მაქვს. ყველგან მივეცი თხოვნები და წარმოიდგინე ყველამ აღმითქვა: თქვენზე უფრო ღირსი ჩვენ არავინ გვეგულებოა.

მეორე. Не вѣрь, братъ! не вѣрь ასე დაგიმედებენ და გიხედავ რომ სტიპენდიის მაგივრათ ხელში ბოლოკის კუდი შეგრჩება.

პირველი. აკი არც მე დავუჯერე და მინდა ახლა ნაცნობებს მიემართო. შენ ალბათ გეგულება ვინემ ვარდენ ჯიბაძეს რო იცნობდეს?

მეორე. როგორ არა! მშვენიერ განწყობილებაშია მასთან ივლიანე მხეკაძე.

პირველი. ეჰაააა! ეს კარგი და ჩინებული. მაშ ივლიანე გამოდგება ვარდენთან მისაგზავნათ. საქმე გაიჩარხა... მაგრამ ივლიანეს ვინ იცნობს ნეტავი?!

მეორე. ივლიანეს ნაცნობი და უბრალო კი არა, კარგი ნაცნობი უნდა იყოს ამირან ქინქლაძე.

პირველი. ეს რაღა ცხოველია?

მეორე. სახელი და გვარი ორივე გითხარი და ხელობით ვაჭარია, სასტუმრო აქვს.

პირველი. ეჰაააა! ვიცნობ, ვიცნობ. საუცხოო მოგონებაა, მაგრამ მას ვიდა მივუგზავნო?

მეორე. ამირანს?

პირველი. ჰო ამირანს. მე მას მხოლოდ შორიდან ვიცნობ და ახლოც რომ ვიცნობდე მაინც სხვისი, უფრო საპატიო პირის მიგზავნა სჯობია.

მეორე. მოიცა... მოიცა... როგორც მაგონდება ამირანის ნათლიმამა უნდა იყოს ექიმი კოტე ხერხაძე, კბილებს რო ექიმობს ვორონცოვის ქუჩაზე.

პირველი. კოტე!.. საიდან მოგაგონდა კაცო! სწორეთ საკვირველი ხსოვნა გქონია. ის უთუოდ არ დაიზარებს ნახოს ამირანი და მიაგზავნოს ივლიანესთან, რომ ამ უკანასკნელმა რამე ისაშუალოს ვარდენის წინაშე.

მეორე. მეც ასე მგონია არ დაიზარებს.

პირველი. არ დაიზარებს არ დაიზარებს, მაგრამ კოტესთან ვიღა მივაგზავნო?

მეორე. აქ კი ჩაიხლართა პიკო, საქმე. ვინ ოხერი იცნობს ამ კბილი!გლეჯიას სულ აღარ მაგონდება!

პირველი. ვექილი თედორე ხრიკაძე ხომ არ ემეგობრება?

მეორე. ყოჩაღ! ბედი გწყალობს, როგორც ვატყობ. კოტესა და თედორეს სული სულში აქვთ. კარტს მუდამღამ ერთად თამაშობენ და ბაღებშიაც ერთად დადიან.

პირველი. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ახლა ხრიკაძის ნაცნობი აღარ გინდა?!

მეორე. ეგ ადვილი საქმეა. თედორესთან სიამოვნებით მიგვეგზავნება ქალბატონი მელანია ქაჩალაძისა, დიდი მეგობრობა აქვთ და დიდ პატივსაც სცემენ ერთმანეთს.

პირველი. ოჰ, შენი გოგრის ჭირიმე. როგორ კვალდაკვალ მიყვები საქმეს. ახლა მელანიას უნდა მივუჩინოთ ვინმე საპატიო პირი.

მეორე. მგონია! აქ მე ვეღარაფერს გიშველი ვფიქრობ და ყველა გზები დახშული მეჩვენება.

პირველი. როგორ შეიძლება ერთი მისადგომი არსაიდან იყვეს! ან სიძე, ან მამიდა, ან დედიდა, ან ნათლი-დედა ან ნათლიმამა! არა, ეს შეუძლებელია!

მეორე. ევრიკა! ევრიკა!

პირველი. ჰო?

მეორე. ჰო და, მარიამ ფეროვანიძე მის ძმას შვილებს უმზადებს, და აი ვის შეუძლია დაგვიხსნას ამ გასაჭირიდან.

პირველი. ახლა ისმინე ძმაო ლადადი ჩემი: პეტრე კვინწარავა, ხარკოვის სტუდენტი და ჩემი დიდი მეგობარი, ეარშიყება მარო ფეროვანიძეს.

მეორე. მაშ საქმე ქუდშია! თუ ეხლაც სტაბენდია ვერ იშოვე, მტკვარში გადავარდი და იგია. მთელი თფილისი შეიძვრის შენი გულისათვის.

პირველი. ნამდვილი „რწყილი და ჭიანჭველა“ კი გამოდის: ჯოჯოხეთის მადლმა

კვინწარავა მაროსთან,
მარო ქაჩალაძესთან.
ქაჩალაძე თედოსთან,
თედო კი ხერხაძესთან.
ხერხაძე ამირანთან,
ამირან მხეცაძესთან
ივლიანე მხეცაძე
კი ვარდენ ჯიშაძესთან.

თუ გამოსასვლელია, მართლაც უნდა გამოვიდეს რამე.

მეორე. „რწყილი და ჭიანჭველა“ თუ გამოდის სხვა რაღა გინდა?

შ ა რ ა დ ა.

ედემის ყოფილ მდგმურთაგან
გემახსოვრებათ მხევალი,
პირველ კაცის წილ გვერდთაგან
ცოდვების შემამთხვევალი.
გემახსოვრებათ აგრეთვე
დიაცის სახელ-წოდება!
მოსწყვიტეთ ბოლო ანბანი
(ამით ნუ შეგეცოდება.)
და რაც გადარჩეს, შარადას
დაუდე საფუძველათა,
რომ გამოცნობის საგანი
გამოიჩარხოს ხელათა.
მხოლოთ ამ მოკლე საძირკველს
ნუ კი დატოვებთ მარტოსა:
მას ორი სახელ-წოდება
კვლავ უნდა მიემატოსა;
პირველი ამა ორთაგან
წყალ-წყალა სითხე-წვენია,
(მაწონს რო დღვებენ კარაქად
იმ ჟამად განადენია.)
მეორე სიტყვას, ქართული
გვარების ბოლოდ ხმარობენ,
(თუმცაღა „კეთილ-შობილნი“
ამ კუდებს აღარ ყვარობენ.)
აი გათავდა კიდევაც,
უკვე მზათაა კრებული:
ორი ნამდვილი სახელი,
ერთიც კუდ ჩამოკლებული.
შეჰკარით მწყობრათ სამივე,
როგორც რიგი და წესია...
(ნუ აჩქარდებით, საქმეში
სიდინჯე უკეთესია!)

მგოსნის ფსევდონიმს მიიღებთ,
(უკვე ნიჭ-გადლეულსა...)
ვინც წაეტანა „სამყაროს“
შარ'შან იყო თუ წლეულსა.
ვის „ევიწროვა პარტია“
ბაბუსის ხშირსა წვეულსა,
საზამთრო-საგაზაფხულოთ *)
ქამელეონებრ ცმეულსა...
ვინც ამ სოფლიურ სიმწარეს
გაექცა ერთობ მხდალთა,
და სად „ბუდობენ ქანქარნი“
მუნ შეძვრა, მოიკალთა.

კოლო.

მათრახი ბათუმისათვის

მოხსენება კვინწარის მდივნისაგან.

ვაუწყებ მთელ ეშმაკეთს, რომ ეს ორი თვეა, რაც კვინწარა ავთა იმეოფება; ერთ-ერთ დაწესებულების რეპეტიციის დროს კაცივეკ და მის მერე არ ეძნა და არა, —ვედარ მოიკეთა. ამბობენ—შოწამდელი ე და ეფოსო, მარა ეს თვით კვინწარასაც გი არა სჯერა. კვინწარისაგან სხვა და სხვა კუთხეში დაგზავნილ მატარა ეშმაკეებს ამგვანი მასალები მოუგროვებია, რომ კვინწარის დიდი ბორტფელი ვერ იტეკს მთ. დღეს მომეხმო მასთან ბ-ნმა კვინწარმ და მომანდო მისი ბორტფელის განხილვა. **მე** ვასრულებდ მის მანდამანდობას და ბორტფელიდან ამოღებულ რამოდენიმე მასალას ვაწვდი მის მაღალ უეშმაკეველესობას. ამ მასალებს დამეუფეა, განმარტება და სისტემაში მოეგნა ესეიგრეა, მარა მე ჯერ ამაებისათვის ფრანდ გამოუცდელი ეშმაკი ვიყავ. ამისათვის ნე დამერეთვ, თუ მასალები ამ სახით მოგაწვდინოთ, როგორათაც იგინი კვინწარის ბორტფელში აღმოჩნდენ, ე. ი. დაუმუშავებელთ და განუმარტებლთ.

1. ქალაქ ბათუმის შემოსავალ-გასავლის გამოსაკვლევი მასალა.

ქალაქ ბათუმის თვითმართველობის ვალად აგვეს კაკალ კისერზე:

ა) სახელმწიფო შემოსავალი, ქალაქის კასაში შეტანილი და „ბანდოზოზაამსტეოებული“... 30.000 ქანქარი.

ბ) ეშმაკერი მოსამსახურეთა ილალისის და აგვისტოის, ჯერ კიდევ მოუვეშედი 100.000 ქანქარი.

ბ) სეკრეტარისთვის ავანსთ მინისტეო ინეენტარის შესაძენთ 10.000 ქანქ.

*) ერთობა რეალციაი იგულისხმება აქანა, რამაც დაამხო თავდაღმა მგოსნის საწერი მაქანა.

ეშმაკი.

დ) სხვა და სხვა ხმოსანთა სხვა და სხვა მოვალეობის შესრულებისთვის 30.000 ქანქ.

ე) კინეგეობის წეგრის ბ-ნ სახნოვსკის, მისგან ვალად აღებული მზუთის სეეიდან 20.000 ქანქ.

ვ) ქალაქის თავს მომეგად კომანდირეგებისთვის ქ. პეტერბურგში $^1/_2$ კაპ. სიფეთო გაღასახადის დასაწესებლთ 100.000 ქანქ.

ზ) კიდევ სხვა და სხვა ვალები 310.000 ქანქ.

ᲗᲘ) ბოდქვაძეს საავთმეოფოში ავთმეოფებისთვის 100 კეერეტხის, შესაძენთ 1 ქანქ.

თ) ერთი შეშის მისაცემ 2 კაპ.;

სულ გამოდის ჯამში 600.001 ქ. 2 კაპ.

შემოსავალი აქვს ქალაქს:

ა) მომეგების შეფასებისგან 101 ქანქ. 2 კ.

ბ) სხვა და სხვა წეარობიდან 000—00, სულ ჯამი შემოსეგდის 101 ქ. 2 კ.

მაშასადამე წინდა (და არა უწმინდური) დეფიციტი გამოსახება შემდეგ მატარა ეიფრებში.. 599.900 ქ. განზარახულია ადიან სესხი 600.000 ქანქ.

მაშასადამე დარჩება ქალაქს სესხიდან 100 ქანქ.

ამ ასი ქანქარით უნდა გასხარეულდეს, ანდა გასუდიერდეს შემდეგი პროექტები:

2) **თვითმართველობის გამგეობის მიერ ბათუმისათვის შედგენილი პროექტები.**

ა) უნდა დაქსაქსულ იქნეს ბათუმის ქეეცი რანის გზებით, რაზეადე უნდა იარონ ეკიპაჟებმ, ე. ი. ეპეს ბათუმს ტრამვაი, ეს დაჯდება დიდი, დი...დი... 1000.000 ქანქარი.

ბ) უნდა გაკეთდეს გიდროვდიური სადგური 400.000 ქანქ.

გ) ნურიის ბაზარში უნდა აგებულ იქნეს დიდებული შენობა თეატრისათვის, ქეეშო სარეული ამ შენობისა უნდა დაიეოს მაღაზიებთ 500.000 ქანქ.

ᲓᲘ) უნდა გაკეთდეს ქალაქის ბულვარში კეარსალი, რასაც დიდი ხანია ნატრობს ქალაქის თავი 60.000 ქანქ.

ᲔᲘ) მთელი ბულვარის ნახე�არი უნდა დაეთმოს კალუნს და ალიგოს კალუნად შეიბა, დირებული რასაც 50.000 ქანქ.

ᲖᲘ) თუ გაუძღო ქალაქის დაშბალმ შენობამ, მაგ უნდა დაეგაკეს ზედ მესამე სართული, რომელშიაც უნდა მოათავსონ დომბარდი მისი გამგეეთეური, ამის დასაკარდება 30,000 ქანქარი.

ᲗᲘ) უნდა გაეკეთნდ იქნეს ირეი ეხლანდელ ბუხტიდან, ამბოხრად იქნეს დიდი ორმო ეკერელ წოდებულ „ეკაობში“, ჩასხე�ულ იქნეს ირნეს საშვალებით შიგ ზღვის წყალი და უნდა იქნეს ადგილი ესე ბუხტად ამის დასაკარდება 2,000,000 ქანქ.

სულ პროექტების კანხორციელებას დასაკარდება 4.040.000 ქანქარი.

რასთვის ეკეთა მზად არის მომავალ სესხისაკენ გადასარჩენი 100 ქანქარი...

3) პატარა ეშმაკუნების მიერ ნახული და გაგონილი

დღეს ამ ქუჩაში წინ კაკეიბინე, სადაც „ბატ. სოციალისტი“ ბეჭდავდა. სტამბიდან დიდი სიცივე-ხარხარი მოდ'მოდა. შეეჩერდი და შეეხედე შიგ. ერთი ასოთ ამწყობი მშვენიერ მერცხალ-მერცხალ სიტყვებს ისროდა ურურტოდან. როგორც ჩანდა, სხვა ასოთ ამწყობებს ეს დიდათ ასიამოვნებდა და აცინებდა. ერთ ასოთ ამწყობ ქალს სირცხვილისაკენ ბიჩზე ხელი მიეფარებინა, მარა მას ეუბნებოდნენ არაფერი არ აქტეკენ. სამწუხაროთ მთარ'ი თან არ მქონდა, ოფარა მინდოდა მეცხუნებინა მერად ეარეუმა'ა'ოვის ცხეარზე. თუმცა შემდეგაც მოგესწრება, თუ კვლავ ინება ამბორადება.

პატარა ეშმაკი.

4) ქალაქის თვითმართველობაში შეეარბინე ადგილის სათხოვნელად. ე�es კარებზე აეწერდა ქალაქდადი, რეზედაც აწერა: „ეშეეეს ადგილები დაკეერილია, ამიტომ ადგილის მთხოვნელებს არ ეედებეეობთო“. მაინც შეეედი ქალაქის გამგეობის წეეროთან და ადგილი ეთხოვეეამოეადიერ-ნაპმოვადიერა და ეარი მეტეიგ. ამსრბაში ერთი ვიაკ შემოვიდა და წეეროს ვიაკეის სადარაზო ბარათი გადასცა. კაკეიკეთხა და ეედეეამეზეზე ხელი გადასვა. მე მომიბარუნდა და კვლავ კამამეორა: ადგილი არ ეეპაქესო. გამოვბრუნდი, მარა ისევ შეეზერდი კარებთან. ბარათის მომტანს ეთხრა: „ისეთი კაეი მთხოვს თქეენთვის ადგილს, რომ ეარს ვერ ეაეტეეი. თან თქეენ, როგორც მწერს ჩქვენთვის სასურველი კაეი ეოფილხართ ხეკდ მობრძანდით და ადგილზე დანიშნავთ. ჯერ-ჯერობით 50 მანეთი კეაქნებთ თვეში, მარა მალე მოგამატებთ.“

მინდოდა შეებრუნებულეიეეი და... მარა გადავიფიქრე. ან წინეთ რთ ვერ მივხვდი რომ მე, „იმ ერთი მამართეულების“ კაეს, ადგილს იქ არავინ მომცემდა!..

ეშმაკის მეგობარი.

ბ-ნი კვინტარი მთხოვს, თქვენო მადალ უეშმაკეულესობავ, კუეწეოთ შემდეგი: კვინტარი დიდათ ნაწყენი არის, რომ თქვენ ერთი ხეირიანი ეშმაკი არ გეფიდათ მთხსენებების წარმოსადგენთ სოფ. სურეებში. როგორც კვინტარისთვის კადმოუტეითა, იქ ფრანგ ბდომად ბ'ძანებულან სამთარხანონ, და მერე იცით რა ხალხთა შორის?. „სოციალისტოს“ შორის... დიახ, ეს ასე ეოფილა! კვინტარისთვის მოუხსენებეითა, რომ იქ ზოგიერთი „სოციალისტნი“ ხხეა ჩარეჩითან ერთად ეროთ სკარძნობეა ჩარჩობას ჩადიან თურმე: ეიდეულობენ კდეხებისაკენ ჩადის ფასად თუოეენ. ბეთ ძღეეენ შეიერე რაეეს და მერე რო კეეიდინ, ფუფუზე 4—5 მანეთს თითონ ჩაეეიბეეენ და დანაწერნ კდეხებს მეეკდეეენ. სოფ. სურებს, როგორც კვსმენია, ბდომად ეაეს შუბეენი და რაი ვერ შეეძლეს მთ შეეგდინთ ამხანაგობა, ეა ეოფილეს ნაწარმოენი ჩარჩების ხელში არ ჩაეკდოთ! ან და რათ არ კისრულობს ამ ამხანაგობის რდეს იქ არსებული კოოპერატიული ამხანაგობა?!. მარა, როგორც იტეეინ „მეკარი“ ის ეოფილა, რომ ზოგიერონი ინტელიგენტენი თითონ ეოფილან ცხეინ ჩაეფილი ჩარჩობის საქმეში. კვინტარი იეეეს ამხსდეს—არ დამდაბდებოდენ ასე სურეების „სოციალისტნიო“, მარა თან ისიც კი თქეა, რომ ამის წინაო სურეების ჩარჩოა აკეარტი კამაცნესო; ამის ისიც დაეშატა, რომ კიდეეე ამის წინაო სურეებიდან ნაჩარჩ თუოეენის კასსადეეეა ჩამოსული ინტელიგენტი დაადგენდეკ-ებდა ეედეს ბაბუმეის ქეეებშია. ეოგეედ შეუთხვეეეაში, კვინტარ'ის აზრაო, ეს საქმე დარსაი ეეარადებისა და კარგი იქნება „ეო რომელიმე ეშმაკ კაკბაეენთ სურეების სარეეგზიათ. თუ ამის მისი მადალ ეეეშმაკეულესობა ვერ იქმს, მაშინ კვინტარი მზათ არის გაკბაეენოს ერთ ერთი თავისი ეშმაკეეა სოფ. სურებში. სანამ ეს მოხდებოდეს, მანამ ბ-ნ კვინტარმა დდგინდან ერთი დეექნი ჩამომიკარნახა სურეებელ ჩარჩების შესახებ და ეთხოვს დაბეეედოთ. აი ეს დეექნიც:

ერთი ამბაკი ეეე

ბარცელონა. ელიან დეპუტაციას ჭეშმარიტ რუსთა კავშირიდან: რომელიც რეაქციის გამარჯვების გამო პანაშვიდს გადაიხდის ადგილობრივ ეკლესიაში.

მელილა. ისპანიის ლაშქარი დაეინებით მოითხოვს მთავრობისაგან, წინამძღვრათ რომელიმე მანჯურიაში გამოცდილი რუსის გენერალი დაგვინიშნეთო. ამბობენ, ეს გერმანიის ინტრიგაო.

თეჰერანი. ყოფილი შახი იმ დრომდე არ აპირობს სპარსეთიდან გასვლას, ვიდრე სპარსეთში ჰაეროპლანების ხმარებას არ შემოიღებენ და მასაც ჰაერში არ ააფრენენ.

ხიდისთავი. 16 ამა თვეს, კვირას საღამოს ექვს საათზედ სიო ბერიძის ბაღში გაიმართა სეირნობა, რასაც დიდძალი ხალხი დაესწრო. ბაქარას კარგი შემოსავალი დარჩა.

წერილი ეკრილელი ნინასი სურამელ მაშოსადმი.

Дорогая Машо!

შენ ვერ წარმოიდგენ, რა მოწყენილობაა ამ დასაქცევ ყვირილაში. უწინდელი არც არშიყობა და არც სიმხიარულე. სტუდენტები წრეულს სულ დაღვრემილი დაბრუნდენ. ზოგმა ცოლი შეირთო, ზოგიც ქალებს გაურბის და დავრჩით ამ ზაფხულს უკეალოლოთ. ზურაბი რო არა გვყავდეს შენი მტერია თავი გვექნებოდა დასახრჩობი. მოჰყვება ხოლმე ხანდახან ჯორებს თავისებურათ და ცოტათი მაინც გვიყოლიებს. ვერ წარმოიდგენ რა თავაზიანია. სულ უნდა რომ გასიამოვნოს. ცხვირსახოცი, რომ ერთ საღამოს ათასჯერ გაგვავდეს, ათასჯერ სწრაფლათ აიღებს და მოგაწოდებს. ვენაცვალე იმას, არა გავს სხვა ჩითირიკა სტუდენტებს, ცხვირის მოწმენდაც რომ ხერიანათ არ იციან. ამასთან კიდევ წრეულს ათავებს და აპა შენ იცი, შენზე ძალიან უჭირავს თვალი.

მაშოჯან, თუ გახსოვს ლოლაძე, ძველი ლოველასი, აქაურ სადგურის უფროსის თანაშემწე, ფოთში გადაიყვანეს. გამოსათხოვარ ვახშამზე ძალიან ბევრი ხალხი დაესწრო. ამბობენ მეორე დღეს სამადლობელი პარაკლისი გადაიხადეს, ასე ბედნიერათ თავიდან მოშორების გამოო.

თუ გაგგონება, გენაცვალე, აქ წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილება გაგვიხსნეს. ამას რასაკვირველია დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. გამგეობის წევრებთან აირჩიეს ვიღაც ვაჭრები და მთ კანდიდატებთან კი სულ ჩინოვნიკები. ეს ჩინოვნიკებმა იტკვლიცეს და ეხლა ამბობენ გაბუტულები არიანო. მე მთხოვეს წევრათ ჩავწერილიყავი და რო გავიგე 3 მანეთი სპირდებოდა, თავი დავანებე.

დღეს დიდი ჭიდაობა იყო გამართული აქაურ ბაღში. ხალხი ძალიან ბლომათ დაესწრო. მე თითქმის ყველაზე ადრე მივედი, რადგან ხომ იცი ძალიან მიყვარს ჭიდაობა. უკაცრავათ ჭიდაობა კი არა, ჭიდაობის ყურება. მაგრამ მოლოდინი არ გამიმართლდა. არც ერთ მოჭიდავეს ადამიანის სახე არ ქონდა. არ ვიცი ღმერთმანი საც მოძებნეს ასეთი ჯოჯოები. არც პლასტიკა, არც გრაცია, არც ფეხადი ლამაზი ტრიკოები. ფართე ქართლურ შარვლებში დაგორავდენ მიწაზე. ვიცი გეწყინება მარა ჩვენმა იმერელმა დასცა თქვენი ქართლელი და სიცხარულით ისე დავიბენი, რომ გადავხტი შიგ და სამჯერ ვაკოცე. შემდეგ ბევრი ვაფურთხე, ვიწმინდე ტუჩები მაგრამ რაღა დროს.

მართლა სულ მავიწყდებოდა! მაშო შენ გენაცვალე, რომ მასახელე და სურამის ქალიშვილებს პირში ჩალა გამოაყელე. თურმე სილამაზის პრიზი სურამში შენ აგიღია. მე წარმოდგენილი მაქვს, როგორ აგიყვანეს სურამის ციხეზე... ფუ, ციხეზე კი არა სცენაზე და ხალხის წინ საჩვენებლათ დაგიტრიალეს. ჰო რა მშვენიერი იქნებოდი მაშინ. კალის ვსახოვე აქაურ კლუბშიდაც გამართოს სილამაზის კონკურსი, მაგრამ კლუბი თურმე ენკენისთვიდან საზაფხულო შენობაში გადაქვთ და ეხლა არა სცალიანთ, მაინც შემდეგისთვის დმაიმედეს. მანამდი თუ სხვა არაქენ ჩამოვიდა. პრიზს უსათუოთ მე ავიღებ.

სხვა რა მოგწერო. მალე ყვირილა დაცარიელდება და მეც ქუთაისისკენ ვაპირებ გადახტნებას.

წრეულს, ამბობენ, სათეატრო სეზონი საინტერესო იქნებაო. ვნახოთ. ხო, მართლა მაშოს ვენაცვალე სულ მავიწყდებოდა. თუ ყვირილისაკენ დააპირო წამოსვლა, შორაპნის პოროშენე გამოდი თორემ ხიდი ადარა გვაქვს. Как много должно быть говорит твоему сердцу мост. Неправда? сколько пріятных вечеров мы проводили на этом мосту. გავიგე თხოვდები; ღმერთმა გაგაბედნიეროს! მე კი როგორც ვატყობ კიდევ მოვიცდი ცოტა ხანს. საცოლემა კოზიამ ხმა დამიგდო, ვითომ 30 წლისა ვიყო. Ахъ онъ противный. ეს სულ იმიტომ, რომ აღარ ვეარშიყები. სხვა რაღა მოგწერო; ხვალ საცეკვაო საღამოზე ვაპირებ წასვლას. Буду танцеватъ до упаду. ნახვამდის. Цѣлуетъ крѣпко тебя твоя Ниночка.

შემოსვლითი ხელში ჩაუვარდ „ კო-კოს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილები ეშმაკისადმი

მოხსენება სამტრედიიდან.

როგორც წინა მოხსენებაში აღუთქვი თქვენს უეშმაკეულესობას, ილორის სკოლის რევიზიის შემდეგ მარნის საზოგადოებისაკენ გავემგზავრე. მდ. ცხენის წყლის ხიდს რომ მიუახლოვდი ორ მიმავალ მგზავრს დავეწიე. ერთ მათგანს ყელს უმშვენებდა მშვენიერი ჯაჭვი; ეს გახლდათ ინორის მამასახლისი ერისტო ილბალაძე და სოფლის სასამართლოს „გამოჩენილი“ მწერალი ესტატე ჯორიძე. რადგან საფრთხე მომელოდა უეცრათ მივიღე უჩინარი სახე, და მათ ლაპარაკს შორი-ახლო მიმავალი ყურს ვუგდებდი.

— არა, ეგ საქმეც მშვიდობიანათ ჩავატარეთ მგონი. ის ხუთი თუმანიც ისე ტკბილათ შეგვერგო, როგორც მრავალი სხვა, სთქვა მამასახლისმა.

— მაგას რომელზე ლაპარაკობ? ჰკითხა ესტატემ.

— აი. იმ ქვრივზე მის სიძეს, რომ განთავისუფლებას შევპირდით.

— ა... ა... ა... ვიცი, ვიცი პარასკევს რო მოვიდა და ნახევარი ფული მაინც დამიბრუნეთ, რადგან ჩემი სიძე წაიყვანესო რო თქვა არა?

— დიახ, დიახ, ისაა.

— არა, სულელი კია ეგ ჴალხი მე და ჩემმა ღმერთმა! რა ჩვენი საქმეა თუ წაიყვანეს? ერთი თხოვნა ხომ მე დაუწერე; შენ კი ქვრივობის მოწმობა მიეცი, ეხლა ხომ ვერ გადავყვებოდით თან? ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

— შარშან კაი 300 მან. ავაკარით, თუ წელსაც იქნა რამე ხომ კარგი...

— იქნება და მეტი, არა!?... მე ივანე უბედურიძეს შევპირდი შვილის განთავისუფლებას და ასიანს იძლევა, ხვალ მოვა და ფულიც უნდა მოიტანოს. შენ შენებურათ ცოტა ქე უნდა ჩააჰახრაკო საქმე; დაბრუნდება კარგი, არა და, ფული აღებული გვექნება და მერმე ქვას ახალოს თავი. ასი მანეთის ხსენებამ მამასახლისს სიამოვნების ნერწყვი მოგვარა.

— ეგ სოფელი ყრუა და სანამ დრო გვაქვს უნდა მოვიხმაროთ. ეხლა ჩვენ ვართ, მერმე სხვები იქნებიან.

— „ვის შერჩენია სოფელი, მა......ლი და ოხერიო“ — დაურთო ესტატემ თავის მხრივ.

— იცი ერისტო, ვიღაცას ჩვენზე „დანოსი“ მიუცია მაზრის უფროსისათვის. სასალდათოებს დაბრუნებას პირდებიან და ფულებს აძრობენ, ხალხს ფულის გაწერის დროს ზედ-მეტს ახთევინებენ და თითონ ფლანგავენო; ჩემზე კი შემდეგია თურმე ნათქვამი: ესტატე სენაკის მაზრის უფროსის რეზანოვის მიერ „ცირკულიარით“ დათხოვნილია სამსახურიდან სისტემატიურ მექრთამეობისთვისო, მაგრამ იცოცხლე ბარე ორი შევგზავნე ვირის აბანოში ასეთ „კლიაუზნიკობისათვის.“

ამ ლაპარაკის დროს მწარე ფიქრები შავ ყორანივით დამტრიალებდა თავს: სად არის ეხლა დიდებული ეგნატე ნინოშვილი, რომ თავის თვალით ნახოს მისი მოთხრობის გმირი „მოსე მწერალი“ დურმიშხანობასაც არ თაკილობს მეთქი.

— ხვალ დილით მიხელა ომიანიძე მოვა და ხუთ მანეთს ჯადმოგცემს, დაიწყო მამასახლისმა.

— «პრიგოვორისთვის» არა?

— ხო, და თან უთხარი: თუ კარგი „პრიგოვორი“ უნდა, შენ დასაწერი კიდე ხუთი მოსთხოვე. აქ კი მეტი ველარ მოვითმინე და ვიძრე ჩემი, თქვენმიერ ბოძებული, მათრახი, თქვენო უეშმაკეულესობავ და ტარიელის სიმძლავრით გადავცხე. საშინელი თავზარი დასცა ამ მოულოდნელმა ამბავმა, მაგრამ ჩქარა გონს მოვიდენ.

— ვინა ხარ შე ბრიყვო, ვის უბედავ, ეხლავე დაგიჭერ და სახრჩობელაზე აგგზავნი!! დასჭყივლა მან, ალია! ოსმან! ოსმან! მაგრამ იქ არავინ ახლდათ.

— უი დასწყევლოს ღმერთმა! ერისტო, ეგ პროვინციელი ეშმაკია, თავს ვუშველოთ. ეშმაკის ხსენებამ სულ დავთარი აუბნია მამასახლისს და თავქუდ მოგლეჯილნი სასამართლოსაკენ გაექანენ. მე კი აუჩქარებელის ნაბიჯით **პლათფორმისაკენ** წავედი. აქ მთელი **ყლინწისტთა ჯგუფი დამიხვდა.**

დაედგათ მაგიდა, ზედ რამოდენიმე ბოთლი წითელი ნუნუა, კარტ-ნაწილი და ორორნერიალი ჰქონდათ. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ერთი კაკარდოსანი ახალგაზდა. გამოვკითხე მიკიტანს თუ ვინ იყო ეგ ულაწვილი და ჩემდა სასიამოვნოთ ცნობილი მოვდლის ყვანის ძმა გამოდგა. როგორც გავიგე ამ ულინწისთა ჯგუფს განუზრახავს წიგთ საცავ სამკითხველოს გახსნა. წევრებათ ყველა „პატენტოვან“ მოქალაფეთ შეუძლიანთ ჩაეწერონ. ამ ჯგუფისავე ინიციატორობით ადგილობრივ მიკიტნებს შემდგომლობა აღუთქვეთ სადაც ჯერ არს წელიწადში ფერიანცვლება სამჯერ იდღეასსწაულონო, რადგან შემზადებული ღვინოები გაუსდებული დარჩენიან. ამის მიზეზათ იმას ასახელებენ, რომ 12 ორნის ნაცვლათ მხოლოთ 9 მოსულა. დანარჩენ 3 წინაალმდეგ საჩივარია აღძრული, რომელსაც დაიცავს მღ. ყვანა. გავიგე რა აქაური მდგომარეობა 2 კლასიან სასწავლებლისაკენ გავეჩქარე. გზაზე ეკლესიას ჩაუარე; გალავანში ორ მედვითნე ნემსაძეკებს ზეკისკენ აღეპყოთ ხელები და თვალცრემლიანი შესთხოვდენ უზანაესს სულიერ მამის მელიტონს უდაბნოდან ჩქარა დაბრუნებას... მიველ სასწავლებლის ეზოსთან თუ არა წინ მომეგება ჩინ ორდენებით შელესილი სასწავლებლის ზედამხედველი კოსტა, რომელმაც მოკრძალებით მითხრა: „ფრიად მოხარული ვარ თქვენის მობრძანებით ბ. პროვინციელო ეშმაკო. იმედი მაქვს ჩემის სკოლის რევიზიით სრულიათ კმაყოფილი დარჩებით. მით უფრო, რომ ჯერ კიდევ აქ არის მასწავლებლათ ანდრო ყვანა, რომელიც ზედმიწევნით მცოდნეა თავის თანამდებობის. ჩემი სიტყვენის სინამდვილეში, რომ ეკვი არ შეგეპაროთ დასამტკიცებლათ წარმოგიდნეთ „ჟურნალს“, რომელშიდაც ბ. ინსპექტორის „ლესტნი ოტზივია.“ ავიღე ეგ „ჟურნალი“ და თქვენმა მონა მორჩილმა შემდეგი ამოვიკითხე: „Учитель Андрей Жванія мало подготовленъ къ учительской должности.“ მთხოვა ზედამხედველმა მეშვიდგომლოა თქვენს წინაშე ამ წელში დასტოვონ ის და ეარ გადაიყვანონ პეტერბურგში, სადაც ის მიწვეულია პროფესორათ აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტზე. წარმოუდგენ ჩემს რევიზიის შედეგს თქვენს უეშაკეულესობას და ველი თქვენ განკარგულებას.

პროვინციელი ეშმაკი.

—

ს. კულაში. ძმაო ეშმაკო! რომ იცოდე რა სანახაო არიან ბ. ბ. კიპაძიე და ს. ნიკურაძე, თუ რამე უთხარი მაშინვე დედის გინებას დაგიწყებენ და გეტყვიან: „ჩვენ ნიფიცი კაცები ვართ არაფრის დამალვა არ შეგვიძლიანო.“ და ხალხს უქადიან: „ენა გაიჩერეთ თორემ შაგს დღეს დაგაყენებთო, სუყველას ციხეში გაკრეკენებთ თავსო.“

აქ კიდე ხალხმა ახალი მოდა შემოიღო: ტირილის დროს „ქორწილობენ“ და ქორწიერის დროს „ტირიან.“ თუ არ მოგვეშველე თქვენი მათრახით ხალხი გაიხრწნა.

ს. საჭილაო. აგერ სამოცა დღე გავიდა რაც მამა ყვანა გაკრა სამშობლოს ჟურნალისტებიდან. რაგორც გამმორკვა თურმე ის მონასტერში ყოფილა ცოდვების მოსანანებლათ. ამას წინათ სოლომონს წერილი მოუვიდა, ეშმაკმა შემაკითხა და მაპატიეთ? სოლომონმა, როგორც მლოცველმა სამონასტრო ორბოკა და ათი ბაჭარი მოსთხოვა. ყვანია დიდი გახარებული ჩამოვიდა, და სოლომონის სადღეგრძელოთ სამი ბოთლი ნუნუაც კი გადაკრა ჩიგოგიძის სამიკიტონში და კიდეც სწერა.

კაკუ.

—

თელავი. კარგი ყოფილა თელავში „კახური“-ს ყლაპვა. ღერთი გამიწყრა და მეც შევეჩვივე. ნომოლის ბატარა ოთახში მთელი ღღე მთვრალი ვეგდე, გამოვედი ერთ ღილას და ვანინახე აყრინან დანგრეული სახლის ღორღს ქუჩებზე. „გზებს ვასწორებთ, „გალავან“ გვიბრძანაო“. რასაკვირველია იაფათ გადარჩებიან! კინაღამ ღმერთი გამიწყრა და ცუდათ არ მოიხსენიე „გალავა“. (ფურმე ვინც „გალავას“ ცუდათ იხსენიებს და გაზეთებში სწერამს ნეკნებს უზელავენ და სიკვდილითაც ემუქრებიან). მარიამობისთვის დღეს წვეელ აწყურში. იქ დიდი ღღეობა იყო. ენახე პრისტავები, სტარანიკები, ღენერლები და ბევრი ჩინოსნები. გავიფიქრე: „ეჰე არ ენახე განათლებული ქვეყანა თქვენ?“ შევედ ეკლესიის გალავანში, მარა თქვენს მტერს რაც იქ ჩემმა თვალმა ნახა. ფეხშიშველი დედაკაცები სულ თეთრებში გახვეულნი უვლიდენ ეკლესიას და თან მლიროდენ. ერთ დედაკაცს კისერზე ჩამოეკიდა ხუთ ფუთამდის ჯაკვი და ჩოქვით უვლიდა ეკლესიას. ზოგი ხტოდა, ზოგი, ცეკვავდა, ზოგი ტიროდა, ზოგი იცინოდა. გამიკვირდა. ჩამოვვედი თელავში, მოვიწადინე გამეგო თუ რა ყოფაში იყო მთავრობის გიმნაზია. მითხრეს „გარეშე პირების დასწრება კრებაზე არ შეიძლებაო“. ისე კი „სეკრეტანთ“ გადმომკეს: „ეკლესიი საკუთარათ თითონ-აარსებს გიმნაზიას, თავად-აზნაურობა ცალკე, კომიტეტი ცალკე, ინტელიგენტთა წრე ცალკე და კიდევ სხვებიო“. ამრიგათ თელაველებს ენკენრსთვეში ათი გიმნაზია ექნებათ. (პროგრესიც ამასა ჰქვიან!) მეორე ღღეს დილიანაღინთ წავედი ველის ციხეში. ყველას უნდოდა მამასახლისთან დამდგარიყო, რადგანაც მსუქან მამლაყინწებს სულ მამასახლისისთვის ასუქებენ. ჩავედი ციხეში. გამოსკდა გული. თავი „კორტახზე“ მგონა. ნელის ნაბიჯით (რადგანაც მეშინოდა აქ სადმე უფსკრულში არ ჩავარდე მეთქი) წავედი ქალაქის დასათვალიერებლათ. კითხვა კითხვით მივაგენ სამოქალაქო ბაღს. მარა აქ ხალხის მაგვრათ ვირები დასეირნობენ. შეევედი კლუბში. მითხრეს: რემონტს უშვრებიანო. რემონტი იმაში გამოიხატებოდა, რომ საძირკველს უთხრიდენ. გამიკვირდა. მუშებმა მიპასუხეს: ზნოიან ალაგს უნდა გადავიტანთოო. ამიგარდა სიცილი გამიკვირდა უცნაური ამბავი. „ჩვენს ელიბოს უნდა მოვკიდოთ და ის გადაიტანსო“. გამიკვირდა და

ვკითხე ელიბოს ვინაობა. „ეს ის ელიბოა, რომელმაც ლეკის ჯარი პატარა ზარბაზნით მოიგერეო“. გამეცინა. ღმერთმა მეტი მოთმინება მისცეს! ჯერ ჯერობით ეს იყოს „ელიბოს“ სატატო ქალაქ სილნალზე.

დ. შებ—ლი.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენი ჟურნალის მახლობელ ნომერში ადგილი დაუთმოთ შემდეგს: ჩემ მიერ მოთავსებულმა წერილმა „მათრახ-სალამურის“ მეხუთე ნომერში აახმატა ზოგიერთი ვაჭარტონები და წერილს წერილზე გზავნინ: არ მეკუთვნოდა მათრახი და უბრალოთ რათ მიწყევდინებთო. ჯერ იყო და ამბავკა მაღულარიამ მოითხოვა სიმართლის აღდგენა და სამედიატორო სასამართლოს ამოეფარა, ხოლო როდესაც მედიატორე დაუსახელეს სამბაერო პასუხი არ ისმის. ახლა «მათრახ-სალამურის» მეათე ნომერში მელიტონ დოლიძეს გამოიჯგიმა და მეუბნება «სანამ კარგათ არ გაიგებთ საქმის ნამდვილ შინაარსს არ უნდა დასწეროთ და შეცდომაში არ უნდა შეიყვანოთ როგორც რედაქცია ისე საზოგადოებაო“ გმადლობთ სწავლებისათვის, მაგრამ უნდა მოგახსენოთ რომ მე ისეთი ჯურის მხეკ ადამიანებს არ ვეკუთვნი, რომლებიც ბრუნდ და მართალს ერთნანიად უმასპინძლდებიან, და თუ ვინმეს მისი უგვანო საქციელისათვის მათრახის წვერით უმასპინძლდები, დიდი დაკვირვების და გამოკვლევის შემდეგ. და თუ თქვენ მათრახით გაგიმასპინძლდით ალბათ იმიტომ რომ ამის საბუთიც მეკნება. ეკვი მეპარება იმაში რომ ვინმე თქვენზე, ვინც კი იცის თქვენი ამ უკანასკნელი დროის მოღვაწეობა, რაიმე კარგს იტყოდეს, მაგრამ ნათქვამია „მტყუანს კარამდე მიყვეიო“ და თუ რაიმე სიმართლე გაქვთ რაც ჩემთვის მერწმენა სასიამოვნო იქნება, დეე გამოდით სამედიატორო სამართალში რომლებიც გამოარკვევენ ჩვენ შორის მტყუანს მართალს.

კასიო.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ დაამოწმოთ ბაგნიდან თქვენს ჟურნალში მოთავსებულია კორესპონდენცია, რომელიც ეხება სამსონს და მის შვილს, შენგელიებს; მე არ მეკუთვნის*).

ს. ხვიჩია.

*)რედაქცია ამოწმებს, რომ ზემოხსენებული წერილის ავტორი ს. ხვიჩია არ არის.

რედაქცია.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ «მათრახი და სალამური“ მე-7 ნომერში დაბეჭდილი აბაშიდან გამოგზავნილი დეპეშა სამგზარეოს ერთ-ერთ ბიჭ!ეულის შესახებ მე არ მეკუთვნის და მით ამაცილო ზოგიერთთა უსაქმო პირთა ბორიკანობასა.

ვ. ქობულია.

მათრახის რედაქცია აღნიშნავს, რომ ვ. ქობულიას აღნიშნულ დეპეშასთან არავითარი კავშირი არა აქვს. აგრეთვე ეც ნიშნავს, რომ თუ ეშმაკის ყურამდე მიაღწია იმ ჟორიკანა გვიმთა ვინაობამ იმედი ჯეროვანის პატივცემულობით დაუზვავება. ამასთანავე გაცნობებთ ბ-ნ ქობულია, რომ თუ თქვენ ყველა ჟორიკანების საპასუხოთ წერილები გვიგზავნეთ, ეს ჯერ ერთი უხერხული იქნება რედაქციისათვის რომელმაც შეიძლება უარი გითხრას ამგვარებაში მონაწილეობა ეს ესეც არ იყოს მაშინ მართლა ეგონებიან [illegible] ავტორი.

მათრახის რედ.

უმორჩილესად გთხოვ თქვენს პატივცემულ ჟურნალის უმახლობელ №-ში ადგილი მისცეთ ამ ჩემს საპასუხო წერილს: „მათრახის და სალამურის“ № 10 სამედიატორო სამართალში მიწევევს მსწავლებელი ირაკლი ჩიგოგიძე ჩემი წერილის გამო. დიდის სიამოვნებით ბ. ირაკლ! ჩემის მხრივ მედიატორეებათ ვასახელებ გიორგი ივ. დუნდუას და იუსტინე ხონელიძეს. განაჩენი უნდა იქმას გამოცხადებული ერთ-ერთ ქართულ გაზეთში.*)

პროვინციელი ეშმაკი.

*) ამ წერილის დაბეჭდვა ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო დაგვიანდა.

პროვ. ეშმაკი.

რადგანაც თელავიდგან გამოგზავნილმა წერილებმა ბევრი დავიდარაბა გამოიწვეა (რომელიც გამოიხატა იმაში, რომ ბევრმა მე დამიწყო ლანძღვა ბინება და მუქარა) და იმ წერილების დამწერათ მასახელებენ მე, უმორჩილესათ გთხოვთ თქვენ ჟურნალის საშუალებით გამოაცხადოთ, რომ ის წერილები მე არ მომიწერია.*)

დ. ბუტკუაძე

*) წერილები გამოგზავნილი ქ. თელავიდგან ამ პირს არ ეკუთვნის.

რედაქცია.

მათრახის ფოსტა.

ხონი. ჭეჭეულს. თქვენი ლექსი „ხონელი ჟორიკანები“ მართლა ჟორიკანობა უნდა იყოს:

„ერთი ადგილს მიიწევდა
და მეორე ადგილსაო,
ქქმები და ხეტები
ეკვდა ფიქრობენ მათმოსაო“.

სამწუხაროა რო ყველა თქვენსაკენ არ ფიქრობს, მაგრამ რა გეეწყობა.

ფოთი. „ეკ ვარს“ ჩვენ გულდასმით განვიხილეთ თქვენი ნაწარმოები და შიგ იმდენი სისულელე აღმოჩნდა, რომ ნათლად დავრწმუნდით ავტორი უთუოდ თქვენ უნდა იყოთ.

სურამი. დამდეულს. მივიღე თქვენი პოემა „სურამის ციხე“; დაინიშნა სასტიკი გამოძიება, მაგრამ აზრი მაინც ვერ ამოვაჩინეთ. თქვენი ფსევდონიმისა არ იყოს, ალბათ აზრებიც სადმე ციხის კუნჭულში დამალულან.

სენაკი. ქურდის მტერს. თქვენი ფსევდონიმი ძლიერ სასიამოვნოთ დაგვრჩა, მაგრამ სამწუხაროდ თქვენი ლექსის თითქმის ორი მესამედი ალაკის ერთ-ერთ პოემიდან მოპარული აღმოჩნდა.

სადნალი. ეკაურს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება, მაგრამ მაინც სასიამოვნოთ დგებრჩა სიღნაღში წერა-კითხვის მცოდნე ალაკის აღმოჩენა

ელექტროშეკვრა ამხ. „ზრომა“ რუს. ქ. № 3. რედაქტორ-გამომცემელი ვ. ტუტაბელიძე.